ბოლოს გადაისიკვრეს, სუფრა გაუშლეს. შედგა კი ველოსიპედიანად შესვტი აქლმებზე და უშზოუკვლო უდაბლობან ტრასაზე გაიყვანეს. პაკისტანში გაქურდობის მინთი თავს რამდენჯერმე დაესხნენ... თუმცა ამანვე ქვეყნის განთქი "პაკისტან თაიმსი" სინანულით წერდა: მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ველომოგზაური ღირეში ორ დოლარზე მეტს ვერ ჩარჩავსო...

კატმანდუსსენ მიმავალ გზაზე სისამ დოლას მარტორქა გამოქნითო. ჯუმბერმა ხეზე ასწრო, თორემ შავი დღე დაადგებოდა. მარტორქა მანამდე მკვინებარება ხის ძირას, სანამ სპილოებზე ამხედრებული გლეხები არ გამოჩნდნენ...

ავსტრალიის გზებზე რ. ლეყავას გერმანელი ველოსიპედისტი, ყოფილი ევროპის ჩემპიონი ჰერმან ვოლფი გამოეფინა თავისი სამობრობიანი ველოსიპედ-ლიმუზინით. მას აი, თურმე რა ინტერესესება: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთი ამბით რომ იუწყებოდნენ - ლეგენდარული ქართველი მოგზაური ჯუმბერ ლეყავა ყოველდღიურად 150-160 კილომეტრს გადის, თანაც 60 კილოგრამი ავიღებული ტვირთით, მართალია თუ არაო. როცა ამამი თავად დარწმუნდა, მის განცვივიერებას სახელოერი არ ჰქინდა!...

"დიდი ჩინეთი ელოდება დიდ მოგზაურს" - იუწყებოდა ჩინეთის რადიო. თავიანთს დედაქალაქ თაიბენიში ქალაქის მერმა და ველოსიპედიის პრეზიდენტმა ჯუმბერ ლეყავას საზეიმო ეთარებაში ახალთახალი ველოსიპედი გადასცეს, ძველს კი ველოქარხნის მუზეუმში საპატიო ადგილი მიუჩინეს. დაახ, ლეყავას ძველი ველოსიპედი, რომლითაც მოგზაურმა 70 ათასზე მეტი კილომეტრი გაიარა, თავივეური წარმოშობისა იყო. ახალ შერასაც (თვით ჯუმბერი ასე უწოდებს თავის ახალ მეგობარს) არ შურეცხვენი თავი: მაგნებარე მოგზაურს დაედალავდა და შეუფერებლად მიაქინებს მსოფლიოს გამოუცნობად იღუპალებით სასეგ გზებზე!

მოგზაურობა გრძელდება. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მასაც ექნება დასასრული და ეს ყველაფერი, ალბათ, ერთ დიდტანთან წიგნში აისახება, რაც ჩვენი მკითხველის საყვარელი საკითხავი იქნება!



ნოველა

**და** ი ექვსი წლის შემდეგ მან კვლავ დაინახა იგი. მამაკაცი ბამბუქის პატარა მაგიდასთან იჯდა, რომელსაც ქალადღის ნარჩენებით სავსე იაპონური ლარნაკი ამშვენებდა, წინ ხილის ლანგარი ედგა და მხოლოდ მისთვის ჩვეული, ძალიან ფრთხილი მოძრაობით ფრთხილად გულდაგულ ფტქებდა. ქალმა უმაღლე იცნო.

კაცს არ დაუნახავს, მაგრამ როგორც ეტყობა, ქალის შეცხუნებული მზერა იგრძნო, მაღლა აიხედა და ქალის თვალებს წააწყდა. დაუჩქარებელი! კაცმა ვერ იცნო იგი! ქალმა გაიღიმა, მამაკაცი მოიღრუშლა, ქალი მიუახლოვდა, ქაცმა წუთით თვალები დახუჭა, მაგრამ თვალის გახელისთანავე სახე ისევ გაუნათდა, თითქოს ბნელ ოთახში ასანთს გაჰკრა, ფრთხილი მაგიდაზე დადო, სკამი უკან გასწია და წამოდგა. ქალი თავისი პატარა თბილი ხელი თუფტიდან გამოიღო და კაცს გაუწოდა. ვერა! -- წამოიძახა კაცმა, რა უნდა ურჩია, დემეტრო ჩემო, უცებ ვერც კი ვიცანით. დაბრძანდით, გეთყვავა, ხომ არ ისაუზმებდით? ყავას ხომ არ ინებებ?

ქალმა წამით თავი შეიკავა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დათანხმდა. დიახ, ყავას სიამოვნებით დავლედე, -- თქვა ქალმა და მამაკაცის პირდაპირ დაჯდა. შეცვლილხართ, ძალიან შეცვლილხართ, -- თქვა კაცმა და თან აღტყვებული და გაბრწყინებული მზერას არ ამორგებდა. -- მშვენივრად გამოიყურებით, ჯერ არასდროს მინახინართ ასე ლამაზი.

- მართლა? - თქვა ქალმა, ვუღლი ასწია და ბეჭვის მაღალი საყელო შეიხსნა. - თავს ვერ ვგრძნობ კარგად, ხომ იცით ასეთ ამინდს როგორ ვერ ვიტან! - ჰო, მართლა, თქვენ ხომ



სიცივე არ გიყვართ...

- ვერ ვიტან, - ქალს გააქრულა და თანაც ყველაზე ტურღი ის არის, რომ რაც უფრო ბერდები...

- მაპატიეთ, - გააწყვეტინა კაცმა, მაგიდაზე დააკაუნა და ოფიციატს უხმო. - გეთყავა, ფინჯანი ყავა და ხალები მოიტანეთ, - შემდეგ ქალს მოუბრუნდა, თქვენ მეტს არაფერს ინებებთ? იქნებ ხილი მიირთვოთ, ხილი აქ მართლაც საუფრო აქვთ.

- არა, გადლობთ!

- კარგით, როგორც გინებთ, - კაცმა თვლიისახით გაიღიმა და ისევ ფრთხილად დასწვდა. -- თქვენ ამბობდით, რაც უფრო ბერდები, მით უფრო...

- მით უფრო იყინები, - გაიცინა ქალმა.

- მით უფრო იყინები, - კაცმა ქალის სიტყვები გაიმეორა და თვითონაც გაიცინა. -- ოჰ, თქვენ ისევ ისე ლაპარაკობთ, როგორც მაშინ და, იცით, კიდევ რა არ შეცვლილა თქვენში

სრულებით? თქვენი მშვენიერი ხმა და ლაპარაკის საოცარი მანერა.

კაცმა უცებ ძალიან მოიწყინა, წინ გადანიხა და ქალმა ფრთხილად ქერქის თბილი და მძაფრი სურნელი იგრძნო. იცით, საკმარისია თქვენი ერთი სიტყვა? კი, და თქვენ ხმას მილიონ ხმაში გამოვარჩევ, მე არ ვიცი, ასე რატომ ხდება. დღესაც ასე რატომ მაფორიაქებს თქვენი ხმა. გახსოვთ ის დღე, ბოტანიკურ ბაღში მე და თქვენ ერთად რომ გავატარეთ? თქვენ ჩემმა უცოდინარობამ გაგაკვირვებ. არც ერთი ყვავილის სახელი არ ვიცოდა. თუმცა ბევრი რამ მასწავლეთ, მაგრამ მე მაინც არ შეცვლილვარ. არ დაიჯერებთ, საკმარისია ზაფხულის უღრუბლო მზიან დღეს თვალი დავხუჭო, უშაღ თვალწინ ფერთა ნიაღვარი მეშლება და ისევ ჩამესმის თქვენი საოცარი ხმა: "ნემსიწვერა, გულყვითელა, ვერბენა". -- და მე ვგრძნობ, რომ მხოლოდ ეს სამი სიტყვა

2087





შემომრჩა რომელიღაც დავიწყებული დგთაებრივი ენიდან... გახსოვს ის დღე...

- ოპ, ძალიან კარგად, - ქალმა ნელა და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს მათ შორის მდგარ ქალაქის ნარჩენებს აუტანლად ტკბილი და გამაბრუნებელი სუნის ასლიღობდა. ქალს იმ დღიდან უფრო ერთი უცნაური სცენა დაამახსოვრდა, კაცმა რომ ჩინური რესტორანში გაითამაშა... რესტორანი ხალხით იყო სასვე, ჩაის შეეჭკეოდა. უცებ კაცმა გიჟივით კრაზანების დავსა დაიწყო. კრაზანებს დასდევდა თავისი ჩალის ქუდი ისე თავდავიწყებით და გააფრთხილებდა, გვეგონებოდათ საშინელ ურჩხულებს ებრძვისო. ირგვლივ ყველა ხითხითებდა და მზიარულობდა, მხოლოდ ქალი იჭდა გულმოკლული.

მაგრამ ახლა, როცა კაცის ლაპარაკს ისმენდა, ეს მოგონება ნელ-ნელა ფერმკრთალდებოდა, კაცი მართლს ამბობდა. მართლაც ზღაპრული დღე იყო ის დღე... ნემსიწვერებით, გულყვირთვლებით, ვერბებით და თბილი მზის სხივებით სასვე. "თბილი მზის სხივებით სასვე" - ქალის გონება ამ ბოლო სიტყვებს ჩაეჭიდა, თითქოს წაიძღვრა კიდევ.

მოგონებებით გამთბარს ახლა თვალწინ სხვა სურათი წარმოუდგა. თავი მდელიოზე მჭდომი დაინახა. კაცი მის გვერდით წევს და დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ თავს კალთაში უდებს.

იმიტომ რომ თქვენ მე არასოდეს, არასოდეს არ შემიყვარებთ.

ახლა იგი, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სიმპათიური იყო, ვიდრე მაშინ. საღდაც გამჭრალყო მეოცნებე და გაუბედავი ახალგაზრდა. ახლა ის იმ კაცს ჰგავდა, ცხოვრებაში თავისი ადგილი რომ იპოვა და ამ ადგილს საკუთარი ღირსებით და მშვიდი

თავდაჯერებით დაუფლებოდა. ეს ყველაფერი ძალიან თვალშისაცემი და შთამბეჭდავი იყო: ეტყობოდა ფულიც ბლომად იშოვა, საუცხოოდ ეცვა. მან ჯიბიდან რუსული პორტსიგარი ამოიღო.

- ხომ არ ინებებთ?  
- სიამოვნებით, ქალი სიგარეტებს გაუბედავად დააეჭკერდა. მგონი ძალიან კარგია.

- მეც ასე ვფიქრობ. ერთი პატარა კაცი სენტ-ჯეიმს სტრიტიდან მათ ჩემთვის სპეციალურად ამზადებს. თქვენსავით ბევრს არ ვეწვი, მაგრამ როცა ვეწვი, ვეწვი მხოლოდ საუკეთესოს, ძალიან ახალს და სურნელოვანს. მოწვევა ჩემთვის ჩვევა არაა, ფუფუნება ისევე, როგორც სუნამო. სუნამოები ისევე გიყვართ? ჰო, რუსეთში ყოფნისას...

ქალმა გააწყვეტიდა, - "რუსეთში მართლა იყავით?..."

- ჰო, ნამდვილად. მე იქ ერთ წელწაღზე მეტხანს ვცხოვრობდი. დაგაიწყდათ რუსეთში მოგზაურობაზე რამდენი ვლაპარაკობდით?

- არა, არ დამევიწყებია.

კაცმა რაღაც უცნაურად ჩაიღიმა და სკამის ზურგს მიეყრდნო. - განა საოცარი არ არის? მე მართლაც ყველა ქვეყანა ვხანებ, სადაც მე და თქვენ გვიწოდებდა წასვლა. ყველა ის მხარე მოვიარე. ჩვენ რომ ვოცნებობდით და ყველაგან იმდენხანს დავრჩი, თქვენი მაშინდელი თქმისა არ იყოს რამდენიც ჩემს "განიავებას" დასჭირდებოდა. კაცმა რომ თქვას, ჩემი ცხოვრების ბოლო სამი წელიწადი მოგზაურობაში გავატარე. ესპანეთი, კოსოვო, ციმბირი, რუსეთი, ევგობტე-ერთადერთი ქვეყანა ჩინეთი, სადაც არ ვყოფილვარ და ომი დამთავრდება თუ არა, იქაც წავალ.

კაცი ლაღად საუბრობდა, თან სიგარეტს საფერფლეში აწვალებდა.

- ოპ, როგორ მშურს

თქვენი, - ქალმა მხოლოდ თქვა და ნახად გაიღიმა.

კაცმა შეიფერა.

- საოცარი ქვეყნებია. განსაკუთრებით რუსეთი. რუსეთში მართლაც ისეთი აღმოჩნდა, ჩვენ რომ წარმოგვედგინა და ბევრად, ბევრად უფრო უკეთესი. რამდენიმე დღე ვოლგაზე გავატარე, ნავში, ხომ გახსოვთ მენავის სიმღერა, წინათ თქვენ რომ უკრავდით ხოლმე?

- ჰო, რა თქმა უნდა, - ქალის გონებაში ნაცნობი მელოდია აუღვრდა.

- თქვენ იმ სიმღერას კიდევ უკრავთ?

- არა, როიალი აღარა მაქვს. კაცმა გაოცება ვერ დამალა: - რა დემარტაოა თქვენს მშვენიერ როიალს?

ქალმა წარბები შეკუმხა - გაეყიდე, დიდი ხნის წინათ.

- მაგრამ თქვენ რომ ასე გიყვართ მუსიკა? - აღელდა კაცი.

- ახლა მე მაგის დროც აღარა მაქვს, - თქვა ქალმა.

კაცი აღარ ჩაეძინა. - მდინარეზე ცხოვრება - განაგრძო მან - ერთობ საოცარია. ერთი-ორი დღის შემდეგ გიკვირს, რომ მანამდე სხვა ცხოვრებით ცხოვრობდი. ნაფზე ადამიანებს ისე უახლოვდები, ენის ცოდნასულ არ არის აუცილებელი. მიუღღღებებს მათთან ერთად ატარებ, საღამოობით კი გაუთვებლად ისმის სიმღერა...

ქალს ურუნატელმ დაუარა, თითქოს ისევე ჩაესმა მენავის ხმაშალა, ნდვლიანი სიმღერა და საღამოს ბინდნი გახვედრი მდინარის ორივე ნაპირზე თავდახრილი მტირალა ხეები და მდინარეზე მოსრილე ნავი დაინახა...

- ჰო, მე ეს ყველაფერი ძალიან გამახარებდა, - თქვა მან და ბეწვის მუფუტას მიეფერა.

- დიან, მშვენივრად მესმის, რისი თქმაც გასურთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაკაცი და ქალი ერთმანეთს შესეტკეროდნენ. წინათ ასეთ



წუთებში ისე, ზღვარდაუღებელ ურთიერთგაგებას გრძნობდნენ, თითქოს მათი უშიშარი სულები ზღვაში გადაეშვებოდნენ და უბედური საყვარლების მსგავსად, ერთად ვარდნის სიხარულით ხარობდნენ. პირველად კაცი გამოერკვა. ჩინებული მსმენელი ხართ! აი როცა ასე თვლებგაფართოებული მიყურებთ, ისეთი რაიმე შეიძლება გაგანდოთ, რასაც არც ერთ სულიერს არ ვეტყვოდი!

ქალს მოეჩვენა, თუ კაცის ხმაში მართლა ირონია იგრძნობოდა?

იგი ვერ გარკვეულიყო.

-სანამ თქვენ გაგიცნობდათ - თქვა მან - ჩემს შესახებ არასდროს არავისთვის არაფერი მითქვამს.

კაცმა გაიცინა და პორტსიგარი გაატკაცუნა:

-არ მჯერა, რომ მხოლოდ ექვსი წელიწადია, რაც არ მინახინართ. ასე მგონია, საუკუნე გავიდა. დღეს რომ დაგიხანეთ, უზარმაზარი ნახტომის გაკეთება მომიხდა წარსულში. თითქმის მთელი ცხოვრებით უკან დაიხიე, რომ იმ დროში დაბრუნებულიყავი. მაშინ ხომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი - კაცმა მაგიდაზე თითები აათამაშა. - ხშირად მიფიქრია, ალბათ, როგორი მომბაზურებელი ვიქნებოდი თქვენთვის: ახლა მშვენივრად მესმის, წერილი რატომ მომწერეთ. თუმცა ის წერილი მაშინ სიცოცხლის ფასად კინლამ დამიჯდა. ვინმე ამ დღეებში წერილი ხელში მომხვდა, გადავიკითხე და ბევრი მივიცინე. ძალიან გონებამახვილურადაა დაწერილი. რა ზუსტად დამხატვით იმ წერილში, არა? კაცმა ქალს ახედა, - თქვენ რა უკვე მიბრძანდებით?

ქალმა საყვლო შეიკრა და სახეზე ვუთლი ჩამოიფარა.

-ჰო, ვფიქრობ, ჩემი წასვლის დროა, - თქვა ქალმა და გაღიმება სცადა. ახლა უკვე ეჭვი არ შეპარვია, რომ კაცი

დასცინოდა.

-ოჰ, არა ძალიან გთხოვთ, არ წახვიდეთ, - შეევედრა კაცი. შეჩერდით, თუნდაც ერთი წამით. - კაცმა მაგიდრიდან ხელთათმანი აიღო და მუქში მოიქცია, თითქოს ხელთათმანს შეეძლო ქალის შეჩერება.

-მე ამ ბოლო დროს ისე ცოტა ხალხს ვხვდები, სულ გავველურდი - თქვა კაცმა. - რაიმე საწყენი ხომ არ მითქვამს თქვენთვის?

-არა, რას ამბობთ, სულაც არა, - იცრუა ქალმა. მაგრამ როცა დაინახა, კაცი მის ხელთათმანს რა ფაქიზად აცურებდა თავის თითებს შუა და რა ნახად ეფერებოდა, გაბრაზებამ გადაუარა. თანაც ის ახლა ძალიან ჰგავდა იმ კაცს, ქალი ექვსი წლის წინ რომ იცნობდა.

-მე მაშინ მხოლოდ ის მინდოდა, - წყნარად თქვა კაცმა, ხალხისავით ფეხქვეშ გაგვევლიდით, რომ სიარულისას ტალახს და წვეტიან ქვეშ არ შეეწუხებინეთ. მხოლოდ ეს და სხვა არაფერი. არაფერი მესაკუთრული და ეგოისტული არ იყო ჩემში. ერთი რამ კი მართლა გულით მეწადა: ჯადოსნურ ხალიჩად ვქცეულიყავი, რომ თქვენთვის ყველა ის ქვეყანა მეჩვენებინა, რომელთა ნახვასაც თქვენ ასე ნატრობდით... სანამ კაცი რაღარაკობდა, ქალი თითქოს რაღაცას სვამდა, თავს სულ უფრო და უფრო მალდა სწევდა. მის მკერდში უცნაური არსება აკრუტუნდა...

-მე ვგრძნობდი, რომ თქვენ ამქვეყნად მარტოსული იყავით, - განაგრძო კაცმა, თანაც ამქვეყნად ალბათ ერთადერთი არსება ხართ, ასეთი სიცოცხლით სავსე და ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის გაჩენილი. მაგრამ ერთბაშად გვიან გაჩნდი! -- განწირული მით წაიჭურჩულა მან, თან ქალის ხელთათმანს ნახად ეფერებოდა.

-ოჰ, დმერთო, ეს რა ჩაიდინა! საკუთარ ბედნიერებას

ასე როგორ ჰკრა ხელი ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისაც მისი ყოველთვის ესმოდა. ნუთუ მართლა გვიანაა. დმერთო, განა შეიძლება მართლა ყველაფერი გვიან იყოს? ეს ხომ მის ხელთათმანს არა, მას ეფერება კაცი ასე თბილად, ნახად.

-და ის, რომ თქვენ არასდროს არ გყავდათ მეგობრები და არც ცდილობდით ყოველდღა კარგად მესმოდა თქვენი. მეც ხომ არასდროს მიმეზინა ისინი. მას შემდეგ ხომ არაფერი შეცვლილა?

-არა, არაფერი, - ღრმად ამოისუნთქა ქალმა. ყველაფერი ისევ-ისეა, ისევ-ისეა, მარტო ვარ, როგორც ყოველთვის.

-მეც ასევე, - წყნარად ჩაიცინა კაცმა. ისევ ისე მარტო ვარ.

უეცრად სკამი ნერვიულად აჭრიალდა, კაცმა მკვეთრი მოძრაობით ქალს ხელთათმანი დაუწყო: - მაგრამ ის, რაც მაშინ ჩემთვის საიდუმლო იყო, ახლა საცხებით ნათელია თქვენთვისაც, რა თქმა უნდა... უბრალოდ, ჩვენ ისეთი, მხოლოდ საკუთარი თავით გართული ეგოისტები ვიყავით, რომ ჩვენს გულში სხვებისთვის ადვილი არ გვქონდა, თქვენ იცით, - წამოიძახა მან მღვდვარედ, ძველებური გულუბრყვილობით და გზნებით, რუსეთში ყოფნისას ეგრეთწოდებული "გონების სისტემა" შევისწავლე და მივხვიდა ასევე გამორეკლისი არ ეყოფილვართ. ეს საკმაოდ კარგად ცნობილი ფორმაა...

ქალი აღგა და წავიდა. კაცი იჯდა მხედაკრულივით გამკვავებული და განცვიფრებისაგან დამუნჯებული... შემდეგ ოფიციალტი მოიხმო.

-ნაღები ხელუხლებელია, - თქმა მან. გთხოვთ ანგარიშში არ შეიტანოთ.

მთარგმნელი  
ნანა კოკალაიშვილი-  
დარჩიანიშვილია.





ნუნუ ძაღაბიძე

- ყური მოვკარი, კულიანმა ვარსკვლავმა უნდა ჩამოგვიქროლოს, - თქვა ვენერამ თავისი ნაზი, ნებივრად მოლულუხე ხმით.

- ემ რომელი კულიანი ვარსკვლავია. რა ჰქვია? საიდან მოჰქრის? - დაინტერესდა სიზუსტის დიდი მოყვარული მერკურის.

- მაგდენი აღარ ვიცი. ავერ დედამიწას ვითხოვო. მაგან ხომ ყველაფერი იცის, - უპასუხა ვენერამ, თან ხმაში დაცინვა გაუტია. დედამიწის საოცარი განსწავლულობა მაინც მაინც არ მოსდიოდა თვალში ვენერას. მისი აზრით, სწავლა-განათლება არ წარმოადგენდა ცთომილისთვის აუცილებელ ძვირფას სამკაულს, ამიტომაც შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ მუდამ ჩაფიქრებულ დედამიწისთვის არ გაეცინა.

სხვა მხრივ კი ვენერა აშკარა გამორჩეული იყო მიუღო ოჯახში. აბა, რომელი ცთომილი შეედრებოდა სილამაზითა და ბრწყინვალეობით, რომელი კანკაშებდა ასეთი იდუმალი, წარბატიც შუქით. ტყუილად კი არ უწოდეს დედამიწაზე სილამაზისა და სიყვარულის დღერის მისი სახელი. თვით უტყინო მერკურიც კი (ვენერა გუნებაში მერკურს უტყინოდ

თვლიდა, ანგარიშის მეტი არა-ფერი იცისო) უსიტყვოდ აღიარებს მის უპირატესობას. იმდენი კი ესმის, რომ ვერასოდეს ვერ გაუტოლდება ვენერას, თუმცა თვითონ მზესთან ყველაზე ახლოა. გესმით? ყველაზე ახლო! აი, ეს კი ძალიან აღიზიანებდა ვენერას. ვერაფრით ვერ შეირგებოდა იმ გარემოებას, რომ ბუნებამ მერკურს პირველ რიგში მიანიჭა ადგილი, მას კი, ვენერას, მეორეობა არგუნა.

- რა უსამართლობაა, რატომ უნდა იყოს მერკური მზესთან ჩემზე უფრო ახლოს, რატომ? - ამოიკენესება ხოლმე შურით გატანჯული ვენერა. - ჰქონდეს მაინც იმის თავი, რომ უეიშნოს. ის ლებულობს ყველაზე უხვად მზის სხივებს, მაგრამ მერე რა? რაში არგია მაგისთანა უჯიშოს? მაგაზე ბრწყინვალედ და ლამაზად მაინც მე ვანათებ, თუმცა მზისგან ორჯერ უფრო შორს ვარ. აბა, ერთი მე ვყოფილიყავი მაგის ადგილას!.. აბა, პო, რას ვიბრწყინებდი, თვით მზესაც არ დაუღლებდი ტოლს. მე ვიქნებოდი სამყაროს ცენტრი, მშვენივლა, აი, მაშინ კი ღამინახადნენ ყველანი. მთელი სამყაროს უმორესი ვარსკვლავებიც კი. ის მეთიარა სირიუსიც (ვენერას მისი ცისფერი შუქი მოსვენებას არ აძლევდა) იკადრებდა ჩემს შემჩვენას,

ალბათ შეგუყვ-არდებოდნენ კიდევ, შორიდან ცისფერი სხივების კოცნას გამომოგზავნიდა, თან ცისფერი აღმოსების მძივსაც მოაყოლებდა და მერე ვინ იცის, იქნებ მზისთვის ჩემი თავი წაერთმია კიდევ... - ვერაფრით ვერ გავაგონე დედამიწას, - ჩაესმა ოცნებაში ჩამირულ ვენერას მერკურის ხმა. - ერთი შენ გადსახებ, შენთან უფრო ახლოა.

ვენერა გამოფხიზლდა და თხოვნა შეუარულა მეგობარს. დედამიწიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

- ამ ბოლო დროს დედამიწას აშკარად დააკლდა ყურს, - თქვა მერკურმა. მის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

- მგონი, მართლაც ასეა. ნეტავი რა მოუვიდა, გადამღები ხომ არაფერი სჭირს? - შეწუხდა ვენერა.

- არა, მაგრამ მაგის გონიერი შვილები ისე ხმაურობენ, ისეთი კორიანტელი აქვთ, ჩვენი აღარაფერი ესმის? მაგათ ხელში კიდევ კარგადაა.

- აკი, მეტად გონიერები არიანო, რაღას ხმაურობენ მაგდენს. ჩუმად ყოფნა ველარ ისწავლეს?

- თუ არ იხმაურეს, ისე ველარ იხზორუნებენ.

- რად მინდა მაგისთანა აზროვნება, - თუ სმენა დამეკარგება, - შენიშნა ვენერამ და გვერდით ჩაღლილ მეტურის დაუბარა, ერთი დედამიწა ჩვენსკენ მოახედეთო. მეტურმა აღმსავით გაჰყვითა დედამიწის ელემენტფერი, ჩირადანანით აენიო, ბოლოს ყუმბარასავით აფეთქდა და დედამიწის ყურადღება მიიპყრო. რა ხანია გეძახით, მეზობელო, ერთი მოგზებდე, - ერთხმად შესძახეს ვენერამ და მერკურმა.

- რა გნებათ, რაშია საქმე? - მეტად დინჯი კილოთი იკითხა დედამიწამ.

- როგორც გავიგეთ, კულიანმა ვარსკვლავმა უნდა ჩამოგვიქროლოს, - დაიწყო მერკურმა. - ერთი გავგაგონებ, რას წარმოადგენს, საიდან მოდის, ჩვენთან რა უნდა... მაგ



კულიან ვარსკვლავს დიდი ხანია ვიცნობ, - სიტყვა ჩამოართვა დედამიწამ. - ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდეც მინახავს. ყოველ ას წელსაწაღში ერთხელ გამონჩნდება ხოლმე. ძალიან სამართრესო ციური სხეულია. ამჟამად ჩვენგან სირიუსის მიმართულებით იმყოფება. ხომ იცით ცისფერი ვარსკვლავი სირიუსი?..

- როგორ არ ვიცით, - წაიხურჩულა ვენერამ.

- ... თვითონ მასაც მოცისფრო ფერი აქვს. კობალტის მინარეგებს შეიცავს დიდი რაოდენობით. შესახებ დავად ძალიან მიმზიდველად გამოიყურება. მეტისმეტად გრძელი და ლამაზი კული აქვს, სახელიც ისეთი პოეტური ჰქვია. "ცისფერი ოცნება"...

- ერთი უფრო მაგ კულიანს, საიდან სად მოჰქრის, -- გაიოცა მერკურმა. - ამხელა გზაზე არ იღლება მაინც.

- დიდი თავქარიანი ვინმეა ეგ "ცისფერი ოცნება". ისეთი სიჩქარით დაჰქრის, თან ისე უთავებლოდ, რომ აუცილებლად რაიმე ხიფათს შეეყრება, - მოისმა საიდანღაც. ყველამ იჩით მიიხედა, თურმე მარსი სულგანაბული უფადება ყურს და ახლა ჩაერია ლაპარაკში.

- მართლაც, - დამოწმა მერკური, - რაში სჭირდება ასეთი არეული ცხოვრება. აირიონს რომელიმე ვარსკვლავი და იტრაილოს მის ვარშემო.

- გულახდილად რომ ვთქვათ, მოსაწყენი კია მულად ერთი ცენტრის ირგვლივ ტრიალი, - ჩაფიქრებით თქვა მარსმა. - შეიძლება ხანდახან მოგენატროს სადმე შორს განავარდნა, მაგრამ ძალიან სახიფათოა. ერთი თუ მოწყდო რაკას, ვერასოდეს ვეღარ დაუბრუნდები?

მარსის ამ სიტყვებზე იუპიტერს გავცინა.

- მე უნდა მიმადლოდე, ასე რომ დამეპოიანდი და ახლა შენ გარკვეული გზა გაქვს. გახსოვს, რა მოუსვენარი ცხოვრება გქონდა? სულ შფოთავდი, თვალი გაქცევაზე გეჭირა. მე კი

გარიგებდი, ასე არ ვარგა-მეთქი. მზეზე უფრო მაგრად მე გაკავევდი, რათა შენი რაკალი არ დაგეკარგა.

- მართალი ხარ, შენი დიდი მადლობელი უნდა ვიყო, - ამოიოხრა მარსმა და გაჩუმიდა.

- კარგი, ვთქვით ორბიტას მოწყობი და სადმე შორს გაფრინდი. რა არის სხვაგან სამართრესო? - იქაპებოდა ისევ მერკურსი. - ყველგან ერთი და იგივე სურათი, ერთი და იგივე სივრცე და ვარსკვლავები. ხომ არ გგონიათ, რაიმე განსაკუთრებულს ნახავთ? შენს ტყავში უნდა დაეტიო და შენს გზას უნდა მიჰყვე. ასე არ არის? - და მერკურმა მოწყვედ მრუხიმი ყველა ცთომილს, სრულიად დარწმუნებულმა თავის სიმართლეში?

- ასეა, ასე, - მოაღწია მასთან ცთომილთა ერთობლივმა პასხიბმა.

სატურნი შლიაბას იხილდა და შორიდან მოწიწებით უქრავდა თავს, უდავო ჭეშმარიტებას ბრძანებო. უფრო შორეული ცთომილებიც თანხმობის ნიშნად ღუმდნენ, თუმცა მათ არც არავინ ეკითხებოდა რამეს?

- მალე მოაღწევს ჩვენთან, "ცისფერი ოცნება"? - მღელვარებით იკითხა ვენერამ.

- სავარაუდოა, თუ გზაში რაიმე ხიფათს არ გადაუყარა, ჩვენთან მანამდე მოაღწევს, ვიდრე მე ორბიტის ნახევარს გავივლიდე, და არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ შეიძლება რომელიმე ჩვენგანს დაეჯახოს. თვითონ ხომ დაილუპება, ჩვენც რაიმე ხიფათს შეგვამთხვევს. მაგისთანა თავეზეც ვეღარ უღის აგან ყველაფერი მოსალოდნელი.

- ნუთუ არ შეიძლება, როგორმე თავი ავარიღოთ მაგ "ცისფერი ოცნებას"?.. აღშფოთდა მერკური. - ასეთი საექვო მოხეტიალე სხეულები ჩვენს ოჯახში ვერც უნდა ბედადენდნ შემოჭრას. ომერობა ჰქნას, დამეჯახოს და ორბიტას ამაღციდნოს, - და მერკურმა მალულად გადახედა ვენერას.

- თავის არიდებას ვერ

შეძლებთ. ის პირდაპირ ჩვენსკენ მოჰქრის, ის გარდაუვალია, მაგრამ რომედ ჩვენგანს ჩაუვლის უფრო ახლოს, ფათერაკებს დაატრიალებს თუ უტენბლად დაეცეშორდება, ეს უკვე აღარ ვიცე. ახლა კი კარვად იყავით. სალაპარაკოდ აღარ მცალია. მეჩქარება, - თქვა დედამიწამ და ხელოვნური თანამგზავებით მიმწედე დახუნძლულმა, ხენვმით გააგრძელა გზა.


- მეჩქარება, - თავისთვის ჩილაპარაკა მერკურმა. - სულ ასე გაიძახის, მეჩქარებაო, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო აჩქარებულნი არასოდეს მინახავს. ერთი გარკვეული სიჩქარე აქვს. როგორც ჩვენ, ყველას, და მას ვერასოდეს გადააჭარბებს. დედამიწა ოდესმე უფრო ჩქარა დადიოდეს?

- შეეკითხა ვენერას. ვენერამ ხმა არ გასცა. შეგება მერკურმა და ნახა, სქელი ნისლის პირბადე ჩამოეფარებინა და მისი აღარაფერი ეხმოდა?

- შენც კარგი ვინმე ხარ, - ახლა ვენერას მისამართით ჩილაპარაკა მერკურმა. - თავი წესიერ ცთომილად მოგაქვს, თვალი კი სულ სხვაგან გეიჭრავს. ხან შორეულ ვარსკვლავებს ებრახებები, ხან მე მიბლენერი, გშურს ჩემი, მზეგანს შენზე ახლოს რომ ვარ. შენ იმ კულიან ვარსკვლავზე უკეთესი კი არა ხარ. ის სწორედ შენი ჰქუისსა. მე კი შესანიშნავად ვიცი ჩემი თავის ფასი. მზეც ყველაზე მეტად სჭირდება, - და მერკურმა მისიკენ მიაბრუნა გაბრწყინებული სახე. ვენერა კი ერთიანად მოლოდინად ქცეული, სულ სხვა მზარეც იყურებოდა. შორს, ვარსკვლავებით მოწყველ ცაზე გამორჩეული ცისფერი შუქით ელვავებდა დიდებული სირიუსი, მის გვერდით კი უკვე იწყებდა ბრწყინვალეობა პატარა ცისფერი წერტილი - კულიანი ვარსკვლავი "ცისფერი ოცნება". უდიდესი სისწრაფით მომჭოროლავს, ყოველ წამს ემატებოდა სიკაშკაშე. მისი გრძელი კული სივრცეში ისე იშლებოდა, როგორც საოცნებო ცისფერი ბილიკი?



# აგზაუბი



გერმანელ მეცნიერთა გჯუფამა დოქტორ იურგენ რუელის თაოსნობით ჟურნალ "lancet" - ში გამოაქვეყნა სტატია მყვინთავეების შესახებ. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ მყვინთაობას პათოლოგიური შედეგი მოჰყვება და ცხრაჯერ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის თავის ტვინისა და ხერხემლის დაზიანებას. აქედან გამომდინარე ავადდება ნერვული სისტემაც. ყველაფერ ამას კი იწვევს წყალში დიდი ხნის განმავლობაში წელში მოხრილად ყოფნა. ამ ავადმყოფობებს არაერთი პროფესიონალი მყვინთავე შეუწყუბებია.

# მიშელ პედიფერი ნაპოვრი ამერიკელი

ჰოლივუდის ყველა სცენარმა მის ხელში გაიარა. მიშელმა და მუდამ მხიარულ მიშელ პედიფერს უყვარს თავის ბაღში ნარგავების დატბობა. მიშელ პედიფერმა თითქოს გადაკვეთა კინო. იგი იყო აღმანი-მგელის საფურცელი ფილმში "შელო", საიდანაც მონ კონერის ხელგამი აღმოჩნდა ფილმში "რუსული სახლი". ფილმში "სიუზი და ბეიკერ ბიჭები" იგი ასრულებს მომეტერის როლს. მიშელ პედიფერი კალიფორნიის შტატში დაიბადა, ბავშვობა ლოს - ანჯელესის გარეუბანში გაატარა. "ეს ის ადგილი იყო, სადაც არავინ ჩერდებოდა, თუ ვინმეს მანქანა არ გაუფუჭდებოდა". - სინანულით ამბობს მსახიობი. პედიფერების ოჯახი მალე დისნეილენდის ახლოს დასახლდა. ეს იყო 70-იანი წლების დასაწყისი. 1989 წელს მან დაიწყო მუშაობა "უფოლ"-ის მაღაზიაში. მიშელს პედიფა ერთი ძმა რიჩარდი, და ორი და, ლორი და დი. ისინი ამბობენ: ყველა კალიფორნიელის მსგავსად, ჩვენი ერთადერთი ოცნება მანქანა იყო. მიშელი იწყებს საბავშვო ბაღში მუშაობას, იგი იყო მიდივანიც, გაზეიდველიც. თითხმები წლის ასაკში 1972 წელს მიშელმა სკოლას თავი დაანება. ორი წლის შემდეგ აისრულა პირველი ოცნება, შეიძინა ჩოთილი მუსკანტი. "შემდეგ მე შევიძინე სამუშაო "ვიზის" სუპერმარკეტში. მე ვეყავი ერთ-ერთი საუკეთესო მოლარე. ერთ დღეს ჩემი სალაროს წინ გამოიარა ქალმა საზამთროთი. ხილს და ქალს ერთხანით ფორმა ჰქონდათ. მან დამიწყო კამათი საზამთროს ხარისხზე. მაშინ მე ჩემს თავს ვუთხარა: უნდა გავიქეცე აქედან".




მართლაც, მიშელ პედიფერმა დაანება თავი მოლარედ მუშაობას და სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა. 1978 წელს მიშელი გახდა მის პრეზული, პინგვანტერი კონკიების დედოფალი, ველური კუს პრინცესა და კიდევ სხვა ბევრ კონკურსში გამარჯვდა. მიშელს ერთი რეპლიკა აქვს: "ვინ არის ნაომი? ეს არის დიდება. მე ერთ რამეში დავრწმუნდი, როდესაც პირველად დავდექი ამერიის წინ, მე მას დასანახად ვერ ვიტანდი. შემდეგ მიშელმა დაიწყო "ფორდის", იაპონური ფირმა "შაქს ფაქტორის" და საპონ "ლუქსის" რეკლამებში გადაღება. შემდეგ მას შესთავაზეს დიდი როლი ფილმში "პოლივუდის რაინდები". ერთი წლის შემდეგ, მან ითამაშა ჩარლი შინთან ერთად. ამის შემდეგ იგი შეხვდა 26 წლის ახალგაზრდა მსახიობს პიტერ ჰორტონს, რომელთანაც მიშელმა იქორწინა. "მე ყველაფერზე უარს ვთქვი და გულმოდგინედ შევუდექი სცენარების კითხვას" - ამბობს მიშელ პედიფერი. შემდეგ იგი გადაიღო გორჯ მილერმა საკმაოდ გახმაურებული ფილმში "ისტველელი აღქაჩები", სადაც მას პარტნიორობას უწევდნენ შერი და სიუზი ნაპოვრი. შემდეგ ჩავიდა საფრანგეთში, სადაც მიშელმარგობდა მუდგლეხი ფილმისა "აკრძალული სახლები" და რომელშიც მსახიობი მთავარ როლს ასრულებდა. ამას მოჰყვა მსახიობისათვის ჯონათან მეის ფილმი "არც თუ ისე დაქორწინებული". მომდევნო ფილმში "ტეკილა სანრაიზში" იგი უყვ მელ გიბსონს ეხვეოდა. შემდეგ იყო უყვე ნახსენები ფილმი "სიუზი და ბეიკერ ბიჭები", რომელშიც მას ოსკარი მიუტანა. განასახიერა საბჭოთა დედის როლი ფილმში "რუსული სახლი", ხოლო რაც შეეხება ისეთ ცნობილ მსახიობს როგორცაა ალ პაინო, მიშელ პედიფერმა მასთან ერთად ორ ფილმში ითამაშა: "ფრენსი და ჯონი" და "ნიაჩავე სახე". მალე მიშელმა ბავშვი გააჩინა და იძულებული გახდა კარგა ხნით განმორეებოდა კინოს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მან ითამაშა ჯეე ნიკოლსონთან ერთად მმართველეთა ფილმში "შელო", რომელშიც იმ დროს დიდი გამოხმაურება პოვა. იმ ფილმში მიშელი შეუღლებული იყო.

პირველად მიშელ პედიფერი პოპულარობა კომიკოსმა ტრინი დანამ უწინასწარმეტველა: "აპ! როგორ დამაიწყდა! შენ გახდები ცნობილი მსახიობი! ჰა! ჰა!" - ამბობდა იგი. მიშელ პედიფერმა არ გაუცრა კომიკოსს იმედი და ახლა იგი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მსახიობია ჰოლივუდში.

# აგზაუბი



### ყველაზე პატარა ვიოლინო



პრადის მუზეუმში ინახება მსოფლიოში ყველაზე მინიატურული ვიოლინო, რომელიც შექმნა ჩინმა ოსტატმა იაროსლავ ვინტერმა. იგი ვიოლინოს ლუპის მეშვეობით აკეთებდა სამი თვის განმავლობაში. ეს ინსტრუმენტი დამზადებულია ჩვეულებრივი ვიოლინოს მასალისაგან და თავისუფლად ჩაეტყვავა კაკლის ნაქუქში. მსგავსი ვიოლინოები ინახება გერმანიისა და იაპონიის მუზეუმებშიც.

### არარსებული ადამიანი



თავის მირტყემისა და ძლიერი კომის შემდეგ, რეში ეიროლდისთვის მთელი წარსული ცხოვრება 1988 წლის 18 აპრილს დასრულდა. იგი 26 წლისაა. დროდადრო იგი გონზე მოდიოდა. მთელი ოჯახი თავს ადგა, მაგრამ იგი ვერავის ვერ ცნობდა. როდესაც იგი სარკესთან დგებოდა, ვერ ცნობდა საკუთარ თავს, რეში ეიროლდს, საწარმოს უფროსს. იგი ველარ ცნობდა ასევე საკუთარ მეუღლეს, კრისტინას. მას დაავიწყდა მთლიანად მისი განვლილი


ცხოვრება. ამრიგად, იგი აბლა დაიბნა და გახდა ადამიანი რომელიც არ არსებობდა.

რამოდენიმე თვის შემდეგ, მას უკვე წარმოდგენა ჰქონდა თავის წასრულზე, მაგრამ ვერც სურათებში, ვერც სხვა რამეებში ვერ გაახსენეს თავისი შობილები და ძმები, "რამოდენიმე ხნის შემდეგ - ამბობს, - მე მივხვდი, რომ აქამდე არსებობდა სხვა რეში, ეს სულ სხვაა". ოჯახის დახმარებით მან ცოტა არ იყოს, აღიღინა გარემოსადმი შეხედულება, მაგალითად: ხეების სილამაზე, ჩიტების სიმღერა, სიტყვები "გამარჯობა" და "ნახვამდის". შემდეგ იგი საათობით რჩებოდა მარტო და მიჩერებოდა ცას და თავის თავს უსვამდა კითხვას: "რატომ მოძრაობს ცა?" "კითხვას, რომელზეც ყველა ბავშვს შეუძლია პასუხის გაცემა. ტელევიზორის ყურებისა კი ეუწინოდა.

ამრიგად, ეს უნიკალური შემთხვევაა, როდესაც 26 წლის ადამიანი ახლიდან იბადება.

### ყავა ღვიძლისთვის მავნაა

ინგლისურ ჟურნალში "British Medical Journal" (ბრიტიშ მედიკალ ჯურნალ) გამოქვეყნდა პოლანდიელი მეცნიერების აღმოჩენა, იმის შესახებ, რომ ყავა ვნებს ადამიანის ღვიძლს. ყავა შეიცავს ისეთ მავნე ბაქტერიებს, როგორიცაა ლდლ-ქოლესტეროლი. ქალაქ უეგენინგენის აგრონომიული უნივერსიტეტის მეკლევარებმა ამასთან დაკავშირებით მრავალი ტესტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ყოველ-დღიურად ყავის მიღება ვნებს ადამიანის ღვიძლს.



საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, მშენებლობის დროს მუშებს ყოველთვის თან ახლავთ არქეოლოგები. "ჩვენ უნდა შევიწყოვლოთ დედაქალაქის ყველა ძველი ნაგებობის საძირკვლები იმ იმედით, რომ მათ ვეპოვოთ აღმოჩენილი" - ამბობს ძველი პარიზის კვლევის კომისიის დირექტორი მიშელ ფლორი.


ვერავის წარმოედგინა, რომ დიდი და ძველი ნაგებობის, ლუვრის სარდაფებში ერთობ მნიშვნელოვან ისტორიულ ნივთებს აღმოაჩინდნენ. არქეოლოგები თავიანთ გამოკვლევებს აწარმოებენ მანამ, სანამ რომელიმე ძველ შენობაში სამშენებლო სამუშაოები არ დაიწყება. 1991 წელს მათ აღმოაჩინეს ექვსი ათასი წლის წინანდელი პირაგუები (ნავი). ამგვარი შემთხვევები წარსულშიც შეიმჩნეოდა. 1977 წელს მუშებმა შოსე - დანტენის ქუჩაზე მღებარე ბანკის სარდაფში აღმოაჩინეს ნოტრ - დამის ფასადის მეფეთა ძეგლების თავები. ეს ძეგლები 1793 წელს გაუჩინარდა, როდესაც რევოლუციონერებმა ქალაქში ყველა ძველ ჩამოაგდეს და თავები მოაცალეს. ბედის ირონია ის იყო რომ, მაშინ ეს თავები ჯოხზე დაცანადის ხელში ჩავარდა (იგი მეფეების ცხოვრებას სწავლობდა) და თავისი სახლის სარდაფში შეინახა.

# აგუაგი



# აგუაგი





**თარგმანი:** 6. საიდუმლოს მკაცრი დატევა. 7. ჩაქვზე მოხმული რკინის კავებინი ღერო გემის გასაძვრებლად. 8. რამე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა პირველივე ხალხებში. 10. ქ. მადრიდის ფეხბურთელთა გუნდი. 12. იტალიელი კინორეჟისორი. 13. მოკლე წინასწარი განცხადება მომავალ სექტატელს, კონცერტის და შისთ. 14. გარეული კომპი. 17. სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი. 19. ძველბურთი პირფარითა და გრძელი თოფი. 22. რაიონული ცენტრი საქართველოში. 23. მოწითალო-ყვითელი თმის, ფრჩხილებისა და სხვათა საღებავი. 25. მხარე, მიდამო. 26. დროის მონაკვეთი კრებში. 28. ნავისებოთა ოჯახის მრღნელი ცხოველი, რომელიც სახვებისა წყალში ცხოვრობს. 30. ხისგან გამოთლილი ან ხის ღანის მქონე ფესვატყელო. 31. სამ და ოთხ წლიანი ცხენების დღი. 32. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი. 33. შექვი ლუჯი საღებავი ნივთიერება, რომელსაც კმითილი წესით იღებენ. 35. ამერიკელი მწერალი. 37. საბჭოთა ცირკის მსახიობთა ოჯახი. 38. ნიაგი. 40. ხის ან ბუქის ამონაზარდი. 41. დაბალი ტიხარი, მოაჯირი. 42. რისამე ფსიკიკური ბზარაზი. 43. სახელგანთქმული მფრინავ-გამანადგურებელი, საჰაერო ბრძოლის ოსტატი. 45. რეჟისორ ე. კლიმოვის ფილმი. 48. წინასწარ მოცემული რითმებითი ფორმის ტელეკმების შეთხზვა. 50. მეწარმეობრივი საქმიანობის გარეშე მიღებული რეკლამარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაბიტალი, კრებში ან მიწა. 51. ფაქტობრივი. 52. საფრანგეთის საეპიტომიოლო კომპანია. 53. წარღვევა. წართქველა.

**შედეგები:** 1. ფართო წარმომადგენლობითი კრება. 2. ამერიკის ცინოკალიტის პრემია. 3. უსაბართო შეთანხმება, ხელშეკრულება და სხვა. 4. საერთო ინტერესებით, შეხედულებებით გაერთიანებული პირთა ჯგუფი. 5. ქალაქი ჩრდ. ესპანეთში. 9. დროის ამოღებანი მონაკვეთი. 11. რისამე სადავებულ შერჩეული ნარევი. 14. ფრანგი კინომსახიობი პალი. 15. ხელწნა, მუდრა, ვეგარება. 16. გომარის შეკვრის მიერ თავის ტერიტორიაზე ნიტრიალური ქვეყნის ტრანსპორტის შეკვრის საომარად გამოყენების მიზნით. 18. ხრახინიანი მოქლინი. 20. ისტორიული ოლქი ჩრდ. ესპანეთში. 21. საყარაული და წყაქვეშა ნაგების წინააღმდეგ მებრძოლი გემი. 24. აფეთქი საშუაობი, რომლის ანაზღაურებაც ახდენს შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით. 26. ინდოელი კინორეჟისორი. 27. ერთიანი ხილვანური ენა, ესპერანტოს ვარიანტი. 28. შიშვლი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში. 29. ცესკოს ანდლის. 34. დიდი ზომის ქვეწარმავალი, გარეკლებული ტროპიკულ ქვეყნებში. 36. დიდი წვეულება, ლხინი, კეიფი. 38. რისამე ჩამოთვალა. 39. შერიალებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის. 44. სხვადასხვა ტრინის წითლ-ყვითელი ფანქრები (ტუდის გარეშე). 46. ბუნებრივი, ცოცხალი ნიშუმი. 47. მცირე პირი. 48. უნებური მოკლარაკი. 49. პირი, რომელიც ცხოველის გასესებულ კაბიტალის სარეკლამო, ფასიანი ქალაქების შემოსავლით.

შედეგანი ციალა ამაშუკელმა



აქ წარმოდგენილია პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა დ ი ფოტოგრაფის ვლადიმერ მოშიაშვილის ნამუშევრები. ვლადიმერ მოშიაშვილი დაიბადა 1939 წელს ქალაქ თბილისში. 1975 წელს დაამთავრა მოსკოვის ხელოვნებათა ინსტიტუტის ფ ო ტ ო ხ ე ლ ო ვ ე ნ ე ბ ი ს ფაკულტეტი. 1973 წელს ვლადიმერ მოშიაშვილმა შექმნა საქართველოში პირველი პროფესიონალური ფოტოსკოლა, რომელშიც ასწავლიდა 11 წლის მანძილზე ფოტოგრაფიის ოსტატობას. საქართველოს ბევრი ცნობილი ოსტატი ამ ფ ო ტ ო ს კ ო ლ ი ს კურსდამთავრებულია. 1985 წლიდან ვლადიმერ მოშიაშვილი ქმნის და ხელმძღვანელობს სარეკლამო ფოტოსამსახურის საქართველოს სახალხო მეურნეობის მდწვევითა გამოფენასთან. აქ მან მოაწყო მთელი რიგი თემატიკური ფოტოგამოფენები, რომლებიც ნაწილობრივ თბილისში, მოსკოვში, ჩეხეთ - სლოვაკეთში, ფინეთში, საფრანგეთში, ინდოეთში. 1990 წელს ვლადიმერ მოშიაშვილმა დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტი. 1992 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფოტოსაინფორმაციო სააგენტოში სარეკლამო სამსახურის რედაქტორის თანამდებობაზე.


ვლადიმერ მოშიაშვილი არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს დიზაინერთა კავშირის, ევროპის ფოტოგრაფთა საზოგადოების წევრი. მისი საავტორო ნამუშევრები ნაწილობრივ იყო იაპონიის, ბელგიის, ჩეხეთ - სლოვაკეთის, პოლონეთის და იუგოსლავიის ფოტოგამოფენებზე. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში (1974, 1994 წ.წ.) მოსკოვში (1995წ.)

წარმოდგენილი ნამუშევრები, დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილია.

ამჟამად ვლადიმერ მოშიაშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს ვერმანიაში, ქ. კარლსრუეში, მაგრამ მისი ფიქრი და გონება თავის სამშობლოს, საყვარელ საქართველოს დასტრიალებს.

**ბარეკანის პირველ გვერდზე: "კატარა საქართველო"** ფოტო ბონდო დღალაშვილისა.






## ვლადიმერ მოზიაშვილი


### ნოსტალგია

ჩემო გურამ, სერგო, გივი...  
ოჰ! რამ დენჯერ გულში ვკვივი.  
რად მინდოდა უცხო ენა,  
რად მინდოდა გადარჩენა.  
უსაფუძვლო ორტრიალი,  
მე დამედო შვილთა ვალი  
გავიხიზნე უცხოეთში,  
ვით ყორანი უცხო ტყეში.  
რას შევყურო, ვის ვუჩივლო,  
ყოველ ნაბიჯ უჩვეულოს  
დილით მზეს და ღამით მთვარეს,  
ან სიზმარში ჩემთა მხარეს?  
ყნოსვის გრძნობა დამეკარგა,  
ქარიშხალი ვედარ ჩადგა.  
რად მინდოდა უცხო სული,  
მე მყოფნიდა ძმათა გული.





19 2013



*ბანა*